# მსოფლიო პრაქტიკა

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური

## სიახლეები

ჰონგ-კონგის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს განცხადება "LinkedIn"-ის მიერ მომხმარებელთა პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ

ავსტრიის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება კომპანია "Microsoft"-ის მიერ მოსწავლის პერსონალური მონაცემების უკანონო დამუშავების შესახებ

## დეკემბერი 2025

### იტალიის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება ხელოვნური ინტელექტის სისტემის ("AI") გამოყენებით შექმნილი ყალბი აუდიო-ვიზუალური მასალის ("Deepfake") შესახებ

კომპანიებს, რომლებიც გენერაციულ ხელოვნურ ინტელექტს ("Generative AI") იყენებენ აუდიო-ვიზუალური მასალის შექმნის ან მანიპულაციის მიზნით, ეკისრებათ ვალდებულება, უზრუნველყონ პერსონალური მონაცემების დამუშავება განსაკუთრებული სიფრთხილით და სრულად დაიცვან სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპები. 2025 წლის 1-ელ ოქტომბერს იტალიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ ("Garante") მიიღო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომელიც შეეხება აპლიკაცია "ClothOff"-ის მიერ ხელოვნური ინტელექტის ("AI") გამოყენებით ყალბი აუდიო-ვიზუალური მასალის ("Deepfake") შექმნის პროცესში პერსონალური მონაცემების უკანონო დამუშავებასა და მონაცემთა სუბიექტების უფლებების დარღვევას.

ფაქტობრივი გარემოებები

იტალიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ საკუთარი ინიციატივით (“ex officio”) განახორციელა აპლიკაცია - “ClothOff”-ის შემოწმება.[2]
აპლიკაცია მომხმარებლებს სთავაზობდა “AI”-ის გამოყენებით ყალბი აუდიო-ვიზუალური მასალის (“Deepfake”) შექმნის სერვისს. კერძოდ, “ClothOff” მომხმარებელს აძლევდა საშუალებას, სისტემაში ატვირთული ფოტოსურათებიდან ტანსაცმლის „ვირტუალური მოცილების” გზით შეექმნა ახალი - ყალბი გამოსახულება. სერვისი ფუნქციონირებდა როგორც უფასო, ასევე ფასიანი მოდელებით და მომხმარებლებს სთავაზობდა მანიპულაციის სხვადასხვა ფუნქციას.

აღნიშნული აპლიკაცია ეკუთვნოდა დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებულ კომპანიას - “AI/Robotics Venture Strategy 3 Ltd”. კომპანიის ვებგვერდზე განთავსებული იყო გაფრთხილება, რომ სერვისის გამოყენება დაშვებული იყო მხოლოდ სრულწლოვანი პირებისთვის და აკრძალული იყო მესამე პირების გამოსახულების დამუშავება მათი თანხმობის გარეშე. აღნიშნულის მიუხედავად, “ClothOff”-ის სერვისის ბუნებიდან გამომდინარე ბუნდოვანი იყო, როგორ ხორციელდებოდა აღნიშნული აკრძალვების შესრულების მონიტორინგი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, “Garante”-მ 2025 წლის 6 აგვისტოს წერილობით მიმართა კომპანიას და, როგორც მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს, მოსთხოვა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ზომებს იღებდა კომპანია არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების დასაცავად და როგორ უზრუნველყოფდა ისეთი მასალის შექმნის თავიდან აცილებას, რომელიც არღვევდა გამოსახული პირების ღირსებასა და რეპუტაციას.

კომპანიამ საზედამხედველო ორგანოს მოთხოვნა უგულებელყო და შესაბამისი ინფორმაცია არ მიაწოდა.
საზედამხედველო ორგანოს შეფასება
- ტერიტორიული მოქმედების სფერო

საზედამხედველო ორგანომ უპირველესად დაადგინა, რომ ვინაიდან “ClothOff”-ის გამოყენება შესაძლებელი იყო იტალიის ტერიტორიაზე, „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ (“GDPR”) მე-3 (2)(ა) მუხლის მიხედვით მასზე ვრცელდებოდა “Garante”-ს ტერიტორიული იურისდიქცია.
- მონაცემების კანონიერად, სამართლიანად და გამჭვირვალედ დამუშავება

„მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ მე-5 (1)(a) მუხლის მიხედვით, პერსონალური მონაცემები უნდა დამუშავდეს კანონიერად, სამართლიანად და გამჭვირვალედ. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, დაიცვას დამუშავების პრინციპები და შეეძლოს მათთან შესაბამისობის დემონსტრირება.
“Garante”-მ დაადგინა, რომ აპლიკაცია “ClothOff”-ის მიერ მონაცემთა დამუშავება არსებითად არღვევდა ზემოაღნიშნულ პრინციპებს:
- აღნიშნული სერვისი თავისი ბუნებით ქმნიდა მაღალ რისკს მონაცემთა სუბიექტთა ღირსებისა და პირად ცხოვრების ხელყოფის თვალსაზრისით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხებოდა არასრულწლოვანთა გამოსახულების გამოყენებას;
- მიუხედავად იმისა, რომ აპლიკაციის წესებსა და პირობებში მითითებული იყო აკრძალვა არასრულწლოვანთა გამოსახულების გამოყენებაზე და მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე სრულწლოვანი პირების გამოსახულების დამუშავებაზე - აღნიშნული მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა და ვერ უზრუნველყოფდა რეალურ დაცვას;

- ამასთან, კომპანიამ ვერ უზრუნველყო ისეთი ტექნიკური ზომების მიღება, რომ სერვისის მეშვეობით წარმოებული გამოსახულებები მკაფიოდ ყოფილიყო მონიშნული, როგორც ხელოვნურად შექმნილი ან შეცვლილი. აპლიკაციაში გამოყენებული ნიშანი (“watermark”) იყო ძნელად აღქმადი და ტექნიკურად მარტივად მოსაცილებელი. შესაბამისად, მომხმარებლებს შეეძლოთ ხელოვნურად შექმნილი სურათების გავრცელება ისე, რომ მათი წარმოშობის დადგენა შეუძლებელი იყო.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საზედამხედველო ორგანომ დაადგინა “GDPR”-ის მე-5 მუხლის 1-ელი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-2 პუნქტის დარღვევა.

- ახალი პროდუქტის შექმნის პროცესში მონაცემთა დაცვის სტანდარტების გათვალისწინება

“GDPR”-ის 25-ე მუხლის მიხედვით, ახალი ტექნოლოგიების შექმნის დროს მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა უნდა გაატაროს სათანადო ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები, მონაცემთა მინიმიზაციის, ეფექტიანი იმპლემენტაციისა და დამუშავების პროცესში დაცვის მექანიზმების ინტეგრირებისთვის.

“Garante”-მ აღნიშნა, რომ მონაცემთა დაცვის პრინციპები უნდა ყოფილიყო „ჩაშენებული“ აპლიკაციის ტექნიკურ სტრუქტურაში ისე, რომ თავიდანვე გამოერიცხა მონაცემთა უკანონო ან არაეთიკური დამუშავება. მაშინ როდესაც წინამდებარე შემთხვევაში:

- კომპანიას არ გააჩნდა მექანიზმები, რომლებიც შეამოწმებდა მონაცემთა სუბიექტის თანხმობას ატვირთულ გამოსახულებებზე;
- ვერ ხდებოდა მომხმარებლების ასაკის გადამოწმება;
- გამოყენებული ნიშანი (“watermark”) იმდენად სუსტად ჩანდა, რომ ფაქტობრივად ვერ უზრუნველყოფდა აუდიო-ვიზუალური მასალის ხელოვნური/ყალბი წარმომავლობის იდენტიფიცირებას.

შესაბამისად, საზედამხედველო ორგანომ დაადგინა, რომ კომპანიამ ვერ უზრუნველყო მონაცემთა დაცვის სტანდარტების გათვალისწინება ახალი პროდუქტის შექმნის პროცესში (“Privacy by Design”) “GDPR”-ის 25-ე მუხლის შესაბამისად.

აღნიშნული დარღვევები მიუთითებდა კომპანიის მიერ მონაცემთა დაცვის პრინციპების სისტემურ უგულებელყოფაზე როგორც ტექნიკური, ისე ორგანიზაციული თვალსაზრისით.

გადაწყვეტილება

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, საზედამხედველო ორგანომ დაადგინა “GDPR”-ის მე-5 (1)(a)-(2) და 25-ე მუხლების დარღვევა. “Garante”-მ ხაზი გაუსვა, რომ მსგავსი აპლიკაციები წარმოშობს განსაკუთრებულ რისკებს ადამიანის ღირსებისა და რეპუტაციის დაცვის თვალსაზრისით.

ვინაიდან კომპანია უარს აცხადებდა საზედამხედველო ორგანოსთან თანამშრომლობაზე, “Garante”-მ გამოიყენა “GDPR”-ის 58-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებამოსილება და კომპანიას დაუწესა დროებითი შეზღუდვა იტალიელი მომხმარებლების პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე.

ორგანომ ხაზი გაუსვა, რომ აღნიშნული ზომა იყო დროებითი ხასიათის, სრულმასშტაბიანი შეფასების დასრულებამდე, თუმცა მისი შეუსრულებლობა გამოიწვევდა ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას “GDPR”-ის 83-ე და იტალიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის კოდექსის 170-ე მუხლის შესაბამისად.

იტალიის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება ხაზს უსვამს, რომ გენერაციული ხელოვნური ინტელექტის სფეროში აუცილებელია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მკაცრი სტანდარტების დამკვიდრება.

# ჰონგ-კონგის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს განცხადება “LinkedIn”-ის მიერ მომხმარებელთა პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ

- I. ზოგადი ინფორმაცია
-

ჰონგ-კონგის პერსონალურ მონაცემთა დაცვის კომისრის ოფისმა (“PCPD”) გამოაქვეყნა ოფიციალური განცხადება დასაქმებაზე ორიენტირებული სოციალური ქსელის (“LinkedIn”) კონფიდენციალურობის პოლიტიკის განახლებასთან დაკავშირებით.[1] განცხადების თანახმად, 2025 წლის 3 ნოემბრიდან “LinkedIn”-მა დაიწყო მომხმარებელთა პერსონალური მონაცემების დამუშავება ხელოვნური ინტელექტის (“AI”) სისტემის გენერაციული მოდელების განვითარების მიზნით. განახლებული პოლიტიკა ვრცელდება შემდეგ იურისდიქციებზე: ევროკავშირის წევრი ქვეყნები, ევროპის ეკონომიკური ზონა, შვეიცარია, კანადა და ჰონგ-კონგი.

- II. “LinkedIn”-ის განახლებული პოლიტიკის ფარგლებში პერსონალურ მონაცემთა დამუშავების ფარგლები

განახლებული კონფიდენციალურობის პოლიტიკის მიხედვით, “LinkedIn” დაამუშავებს მომხმარებელთა მონაცემებს გენერაციული “AI” მოდელების სწავლებისა და განვითარების პროცესში. კერძოდ, დამუშავდება შემდეგი მონაცემები:

- მომხმარებლის ელექტრონულ ანგარიშში (“Account”) ასახული მონაცემები, მათ შორის, სახელი, გვარი, განათლება და პროფესია;
- მომხმარებლის მიერ საჯაროდ განთავსებული ინფორმაცია, მათ შორის განცხადებები, სტატიები და კომენტარები.

აღნიშნული მონაცემები გამოყენებულ იქნება “LinkedIn”-ის გენერაციული “AI” მოდელების გასაწვრთნელად და პლატფორმის მომსახურების გასაუმჯობესებლად, მათ შორის — შინაარსის „ავტომატური გენერაციის“ ფუნქციისა და რეკომენდაციის ალგორითმების დახვეწის მიზნით.

- III. მონაცემთა სუბიექტის თანხმობა

ჰონგ-კონგის პერსონალურ მონაცემთა დაცვის კომისრის ოფისმა (“PCPD”) მომხმარებლებს მოუწოდა, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ განახლებულ პოლიტიკას, რათა მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილება, გასცენ თუ არა თანხმობა მათი მონაცემების გენერაციული “AI” მოდელების სწავლების მიზნით დამუშავებაზე.

“LinkedIn”-ის განახლებული კონფიდენციალურობის პოლიტიკის მიხედვით მონაცემთა სუბიექტს შეუძლია თანხმობის გამოხმობა (“withdraw consent”) ხელმისაწვდომი და მარტივი გზით. კერძოდ, „თანხმობის გამოხმობის“ პარამეტრი ხელმისაწვდომია მომხმარებლის ელექტრონული ანგარიშის (“Account”) შესაბამის სექციაში — „პერსონალური მონაცემების დაცვა“ (“Data Privacy”). კონფიდენციალობის პოლიტიკის დოკუმენტს ერთვის დანართი № 1, სადაც აღწერილია მონაცემთა სუბიექტის მიერ თანხმობის გამოხმობის პროცესი.

-

- IV. წინარე ინციდენტი და ჰონგ-კონგის პერსონალურ მონაცემთა დაცვის კომისრის ოფისის გადაწყვეტილება
- 2024 წლის სექტემბერში “LinkedIn”-მა პირველად განაახლა კონფიდენციალურობის პოლიტიკა, რომელიც მოიცავდა მომხმარებელთა მონაცემების გამოყენებას გენერაციული “AI” მოდელების განვითარების მიზნით. თუმცა, 2024 წლის ოქტომბერში, ჰონგ-კონგის პერსონალურ მონაცემთა დაცვის კომისრის ოფისის გადაწყვეტილების საფუძველზე, კომპანიამ შეაჩერა აღნიშნული პოლიტიკის მოქმედება ჰონგ-კონგის იურისდიქციაში.
- 2024 წლის ოქტომბრიდან 2025 წლის აპრილამდე “PCPD” აქტიურად თანამშრომლობდა “LinkedIn”-თან კონსულტაციების რეჟიმში. აღნიშნული პროცესის შედეგად მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომლის თანახმადაც:
- მომხმარებლებს ჰონგ-კონგის იურისდიქციაში მიეცათ შესაძლებლობა, ინდივიდუალურად გაეკონტროლებინათ საკუთარი პერსონალური მონაცემების გამოყენება გენერაციული “AI” მოდელების სწავლების პროცესში;
- კომპანიის მიერ განხორციელებული მონაცემთა დამუშავება შესაბამისობაში იქნა მოყვანილი ჰონგ-კონგის პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობასთან.
- ამასთან, ჰონგ-კონგის პერსონალურ მონაცემთა დაცვის კომისრის ოფისმა წერილობით მიაწოდა “LinkedIn”-ს კონკრეტული რეკომენდაციები ახალი — 2025 წლის — პოლიტიკის დოკუმენტთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ გააგრძელებს სიტუაციის მონიტორინგს, რათა უზრუნველყოფილ იქნას მომხმარებელთა პერსონალური მონაცემების სათანადო დაცვა.

- V. „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის გლობალური ასამბლეის“ რეზოლუცია “AI”-ის გენერაციული მოდელების განვითარებასთან დაკავშირებით
- დღესდღეობით შეინიშნება ხელოვნური ინტელექტის გენერაციული მოდელების სწავლებისა და განვითარების მიზნით პერსონალური მონაცემების გამოყენების მზარდი გლობალური ტენდენცია.
- „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის გლობალური ასამბლეის“ (“GPA”) 47-ე დახურული სესიის ფარგლებში ჰონგ-კონგის პერსონალურ მონაცემთა დაცვის კომისრის ოფისი იყო თანასპონსორი რეზოლუციისა, რომელიც ეხება აღნიშნულ საკითხს — „რეზოლუცია ხელოვნური ინტელექტის მოდელების სწავლებისა და დახვეწის პროცესში პერსონალური მონაცემების შეგროვების, გამოყენებისა და გამჟღავნების შესახებ“.[2]
- რეზოლუცია ერთხმად მიიღო “GPA”-ის 130-ზე მეტმა წევრმა. დოკუმენტი ხაზს უსვამს, რომ:
- პერსონალური მონაცემების გამოყენება “AI” მოდელების სწავლებისა და დახვეწის მიზნით უნდა განხორციელდეს მონაცემთა დაცვის მოქმედი ეროვნული კანონებისა და საერთაშორისო ინსტრუმენტებით დადგენილი სტანდარტების სრული დაცვით;
- აუცილებელია საერთაშორისო თანამშრომლობისა და ეროვნულ დონეზე აღსრულების მექანიზმების გაძლიერება, რათა უზრუნველყოფილ იქნა პერსონალური მონაცემების დაცვა გლობალურ დონეზე.

# საბერძნეთის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება აუტიზმის სპექტრის მქონე არასრულწლოვანის პერსონალური მონაცემების უკანონო დამუშავების შესახებ

ორგანიზაციებს, რომლებიც საქმიანობენ ჯანდაცვის სფეროში, ეკისრებათ პერსონალური მონაცემების განსაკუთრებული სიფრთხილითა და პასუხისმგებლობით დამუშავების ვალდებულება.[1] 2025 წლის 24 ივნისს, საბერძნეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ (“HDPA”) მიიღო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება,[2] რომელიც შეეხება აუტიზმის სპექტრის მქონე პირებთან მომუშავე ასოციაციის მიერ არასრულწლოვანის პერსონალური მონაცემების უკანონო დამუშავებას.[3]

ფაქტობრივი გარემოებები

საზედამხედველო ორგანოს საჩივრით მიმართეს არასრულწლოვანის მშობლებმა, რომელთა შვილი მონაწილეობდა აუტიზმის სპექტრის მქონე პირებთან მომუშავე ასოციაციის - „დავითის ფარის“ - თერაპიულ პროგრამაში. მშობლებმა, როგორც არასრულწლოვანის კანონიერმა წარმომადგენლებმა, განაცხადეს, რომ ასოციაციამ დაარღვია „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციით“ (“GDPR”) დადგენილი არაერთი პრინციპი. დავა შეეხებოდა შემდეგ საკითხებს:

- მონაცემთა გაცნობის უფლების დარღვევა - მშობლებმა მიმართეს ასოციაციას და მოითხოვეს შენობაში მოქმედი ვიდეომონიტორინგის სისტემიდან იმ ჩანაწერების ასლის გადაცემა, რომლებშიც ასახული იყო მათი შვილის თერაპიული სესიები. მოთხოვნის მიზანი იყო გაერკვიათ, როგორ მიიღო არასრულწლოვანმა სხეულის დაზიანებები ცენტრში ყოფნისას. ასოციაციამ უარი განაცხადა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე არგუმენტით, რომ ვიდეოჩანაწერები ავტომატურად იშლებოდა 48 საათის შემდეგ. ამასთან, მათი მტკიცებით, ასოციაციის თანამშრომლებმა უარი განაცხადეს გარკვეული ჩანაწერების გადაცემაზე, ვინაიდან კადრებში თავადაც ჩანდნენ.
- მშობლები ასევე დავობდნენ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების უკანონო გადაცემაზე. როგორც დადგინდა, ასოციაციამ მშობელთა წინასწარი თანხმობის გარეშე კერძო კომპანიას - “Balkaniki EPE” - გადასცა შემდეგი მონაცემები: არასრულწლოვანის თერაპიული ინტერვენციის პროგრამა, დიაგნოსტიკისა და მხარდაჭერის ცენტრის სამედიცინო დასკვნა და არასრულწლოვანის პროგრამაში ჩარიცხვისას შეგროვებული სამედიცინო ისტორია. მონაცემთა გადაცემის მიზნად ასოციაციამ დაასახელა თერაპიული პროგრამის შეფასება დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ, მისი შემდგომი გაუმჯობესებისთვის.
- სასამართლო გადაწყვეტილების მონაცემთა მიმღებთა ფართო წრისთვის გაზიარება - მშობლებსა და ასოციაციას შორის სამართლებრივი დავის ფარგლებში, ეროვნულმა სასამართლომ მიიღო შუალედური გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც ასოციაციას, როგორც კერძო სამართლის იურიდიულ პირს, მიენიჭა უფლება, უარი განეცხადებინა არასრულწლოვანის თერაპიულ პროგრამაში მონაწილეობის გაგრძელებაზე. გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ასოციაციამ აღნიშნული დოკუმენტი გაავრცელა მონაცემთა მიმღებთა ფართო წრეში - პარტნიორ ორგანიზაციებსა და ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროს სხვა დაწესებულებებში - არგუმენტით, რომ სურდა მათთვის ინფორმაციის მიწოდება აღნიშნული უფლების შესახებ. სასამართლო გადაწყვეტილება შეიცავდა არასრულწლოვანისა და მისი მშობლების პერსონალურ მონაცემებს.

საზედამხედველო ორგანოს შეფასება

- წინამდებარე საქმის ფაქტობრივი გარემოებების მხედველობაში მიღებით საბერძნეთის საზედამხედველო ორგანომ დაადგინა შემდეგი:
- მონაცემთა გაცნობის უფლება
- „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ მე-15 მუხლის მიხედვით, მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს გაეცნოს მის შესახებ არსებულ პერსონალურ მონაცემებს და მიიღოს ამ მონაცემების ასლები.
- ასოციაცია, როგორც მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი, ვალდებული იყო მონაცემთა გაცნობის თაობაზე მოთხოვნა განეხილა დაუყოვნებლივ და არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში.
- ამასთან, თანამშრომელთა ინტერესებზე ზოგადი მითითება ვერ წარმოადგენდა მონაცემებზე წვდომის შეზღუდვის საკმარის საფუძველს. ასოციაციას ევალებოდა დაემტკიცებინა, რომ მონაცემთა სუბიექტის კანონიერი წარმომადგენლებისთვის ჩანაწერების მიწოდება მნიშვნელოვნად დააზარალებდა მესამე პირთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.
- ბოლოს, მონაცემთა გადაცემაზე უარის თქმის ნაცვლად შესაძლებელი იყო ტექნიკური ზომების მიღება, როგორიც არის თანამშრომელთა გამოსახულების ტექნიკური დაფარვა და მონაცემთა სუბიექტისთვის ჩანაწერების ამ ფორმით გადაცემა.
- აღნიშნულის საპირისპიროდ, ასოციაციამ ვერ წარმოადგინა მტკიცებულება, რომ მშობლებისთვის ვიდეოჩანაწერის გადაცემით დაირღვეოდა ასოციაციის თანამშრომლების უფლებები. ამასთან, ასოციაციას არც უცდია შესაბამისი ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ჩანაწერებში თანამშრომელთა გამოსახულებების დაფარვა და ჩანაწერების ამ ფორმით გადაცემა. შესაბამისად, “HDPA”-მ დაადგინა, რომ ორგანიზაციამ დაარღვია “GDPR”-ის მე-12 (2) და მე-15 მუხლები.
- არასრულწლოვანის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების გადაცემა მესამე პირზე
- საზედამხედველო ორგანომ დაადგინა, რომ მშობელთა წინასწარი თანხმობის გარეშე არასრულწლოვანის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების მესამე პირზე გადაცემით, ასოციაციამ დაარღვია “GDPR”-ის მე-5, მე-13 და 24-ე მუხლები.
- “HDPA”-მ ხაზი გაუსვა, რომ მონაცემთა გადაცემისას დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია:
- მონაცემთა სუბიექტებს (ან მათ კანონიერ წარმომადგენლებს) წინასწარ აცნობოს მონაცემთა შესაძლო გადაცემის თაობაზე;
- უზრუნველყოს ან შეიმუშავოს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების გადაცემისას სამართლებრივი საფუძველი;
- მიიღოს მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები.
- მონაცემთა არაპროპორციული გავრცელება ადრესატთა ფართო წრესთან
- “HDPA”-მ დაადგინა, რომ ასოციაციის მიერ სასამართლოს შუალედური გადაწყვეტილების (რომელიც შეიცავდა როგორც არასრულწლოვანის, ასევე მისი მშობლების პერსონალურ მონაცემებს) ადრესატთა ფართო წრესთან გაზიარებით დაირღვა მიზნის შეზღუდვის, მონაცემთა მინიმიზაციისა და გამჭვირვალობის პრინციპები. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ ასოციაციის მიზანი შესაძლოა ლეგიტიმური ყოფილიყო (პარტნიორი დაწესებულებებისთვის სამართლებრივი პოზიციის გაცნობა), მსგავსი მიზანი მიიღწეოდა დოკუმენტის ანონიმიზებული ფორმით გავრცელებითაც, იდენტიფიცირებადი მონაცემების გამჟღავნების გარეშე. შესაბამისად, საზედამხედველო ორგანომ დაადგინა “GDPR”-ის მე-5 და მე-13 მუხლების დარღვევა.

(+ 995 32) 242 1000
office@pdps.ge
www.pdps.ge